ᲬᲚᲘᲜᲐᲚᲘ ᲛᲔᲝᲥᲕᲔ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲯᲓᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

რედაქცია
თბილისი, კაბოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ:) რედაქტორის 14—76) მდივანის 10—58

ᲐᲓᲡᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 5—43.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 34; ტელეფონი № 10—49

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲬᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 90 ᲙᲐᲞ., ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ—1 ᲗᲐᲜ. ᲓᲐ 20 ᲙᲐᲞ., ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲓᲠᲝᲨᲐᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ“. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ: ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ —40 ᲙᲐᲞ., ᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ, ᲡᲐᲛᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ—10—15—20 ᲗᲐᲜ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲠᲒᲕᲐ—1 Თ., ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ 3 ᲡᲐᲐᲗᲛᲓᲔ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 18—80.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲫᲦᲠᲔᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲐ.
— ᲕᲘᲢᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲒᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ.
— ᲚᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲘᲓᲠᲔᲗᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲢᲠᲘᲖᲔᲛᲐᲜᲘ ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲚᲔᲑᲘᲗ.
— ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲫᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲘᲪᲕᲐ ᲕᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.
— ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲬᲘᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲜ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 14 ᲛᲐᲘᲡᲘ 1926 Წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 107 (1562)

„ᲑᲔᲚᲐᲓᲔᲑᲘᲡ“ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲢᲝᲛᲐᲡᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ: „ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲕᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲠ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲡᲝᲭᲕᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ, „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲓᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲒᲠᲔᲑᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔ ᲛᲘᲜᲓᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲪᲕᲐᲗ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲪᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ. ᲔᲡ ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲒᲠᲔᲑᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔ ᲛᲘᲜᲓᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲔᲪᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ“.

ᲗᲣᲛᲪᲐᲡᲘ, 1921 ᲬᲚᲘᲡ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲠᲘ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲜᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ. ᲮᲔᲚᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: „ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲓᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲓᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲒᲠᲔᲑᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔ ᲛᲘᲜᲓᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲔᲪᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ“.

ᲗᲣᲛᲪᲐᲡᲘ, 1921 ᲬᲚᲘᲡ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲠᲘ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲜᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ. ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

გაფიცვა მენშევიკურად

ყველაფერი, უმთავრესის გარდ.

„გენერალურ საბჭოს ვერც ერთი წევრი ვერ გაბედავს იმის თქმას, რომ გაფიცვა მიზნად ისახავს მთავრობის დამხობას. ეს რომ ასე იყვეს, მე პირველი ვიყოდოდი გაფიცვის წინააღმდეგ".

ტომასი.

უკანასკნელი ცნობები

უკანასკნელი განცხადება

რიგა, 12 მაისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ულმანსმა განაცხადა, რომ ბნიშვნელოვანი ადგილი ლატვიის საგარეო პოლიტიკაში უჭირავს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას.

საბჭოთა კავშირთან ჩვენ გვაკავშირებს მნიშვნელოვანი სამეურნეო ინტერესები და ამიტომ უნდა გამოინახოს გზები იმისათვის, რათა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება მტკიცე ნიადაგზე იქნეს დამყარებული. ამ მხრივ ყურადღება ღირსია საბჭოთა კავშირის წინადადება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, უნდა მივესალმოთ ფინეთის, ესტონეთის და ლატვიის შეთანხმებულ მოქმედებას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გამართვის საკითხში. საბჭოთა კავშირი ახლო მომავალში კონკრეტულად ჩამოაყალიბებს თავის წინადადებებს.

ინადანაბეგა საფიცულ მუშებზე

პარიზი, 12 მაისი. არიეზში (საფრანგეთი) პოლიცია სრულიად უმიზეზოთ თავს დაეხა გაფიცულ ფეიერ-მუშებს, რომელნიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ. დაჭრილია ბევრი მუშა. დაპატიმრებულია შრომის უნიტარულ კონფედერაციის ორი დელეგატი, რომელნიც სცდილობდენ თავდასხმის თავიდან აცილებას.

საბუნჩინიკა ამუშავდა

ბაკო, 13 მაისი. დღეს ამუშავდა ბაკო—საბუნჩის ელექტრონის რკინის გზა. გაშვებულია პირველი საცდელი მატარებელი.

ფეიერის დელეგაცია ბაკოში.

ბაკო, 13 მაისი. დღეს შვეიცის კომუნალურ მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა ბაკო—საბუნჩის ელექტრონის რკინის გზა, ს.ხ.ფ. კიროვის სახელობის ნავთის საბრძენველოები და სხვა დაწესებულებები. დღეს ღამით, დელეგაცია გაემგზავრება თბილისისკენ.

**მუშები უკრა

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დაუზოგველობის დაუზოგავი მხილება

„კამპანიის ჩამტარებელ ორგანიზაციების კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს: პრესაში უყაირათობის, ზედმეტ ხელგაშლილობის და მფლანგველობის ფაქტების ფართოდ მხილება, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უკავია პასუხისმგებელ პირებს“.
სტალინი, კუიბიშევი

მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში სისწორით და მიზნშეწონილად გატარებისათვის გაზეთს ერთ-ერთი სპეციალი ადგილი უნდა დაეთმოს და ასეც არის. ამ გარემოებას არ ივიწყებს აგრეთვე პარტიის ცირკულიარული წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები სტალინი და კუიბიშევი.

ამიტომ ბუნებრივათ საკითხავი, როგორ უნდა ჩაატაროს პრესამ ის ამოცანები, რომელიც თვითეულ საბჭოთა გაზეთის წინაშე ისმება მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებასთან დაკავშირებით? ვისზე დაყრდნობით და ვისთან მჭიდრო კავშირში უნდა აწარმოოს პრესამ აგიტაცია - პროპაგანდა მომჭირნეობის რეჟიმის სასარგებლოთ?

ცხადია, ამ ფრიად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან მუშაობის წარმოება შეუძლებელია მშრომელთა ფართე მასასთან მჭიდრო კავშირის გარეშე.

გარდა ამისა საკანტროლო - სარევიზიო ორგანოებში ზნორათ მრავალი საყურადღებო მასალა იყრის თავს ამა თუ იმ დაწესებულებათა უყაირათობა - ხელგაშლილობის ან ზოგჯერ აშკარა ბოროტმოქმედების შესახებ. შემმოწმებელი ორგანოები ასეთ შემთხვევაში ხშირათ კმაყოფილდებიან მხოლოდ ადმინისტრატიული სასჯელით. მაგრამ ამას გარდა საჭიროა აღმზრდელობითი და ბოროტების გამაფრთხილებელი ღონისძიებათა მიღებაც. ამ შემთხვევაში პრესის მნიშვნელობა დაუფასებელია.

ამასთან ერთად დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია გაზეთისთვის მუშა და გლეხ კორესპონდენტების „ას თვალსა და ას ყურს“. დღემდი მათი მამხილებელი მუშაობა უმთავრესად იგივე მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა იყო. მუშა-გლეხ კორესპონდენტს უკვე აქვს ამ მხრივ გამოცდილება, საჭიროა მხოლოდ ამ გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენება.

გარდა ამისა მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ წარმოებადაწესებულებებმაც, ადმინისტრაციის, საწარმოო თათბირების და პარტიულ-პროფესიულ ორგანოების სახით. ყველა მიღწევების ან ნაკლულოვანებათა პრესის საშუალებით გაშუქება, საკუთარ ჭირ-ვარამის ან გამოცდილების სხვისთვის გაზიარება, ბევრათ ხელს შეუწყობს დასახულ ამოცანის შეერთებული ძალებით გადაჭრას.

ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვისაც გული შესტკივა სახალხო დოვლათის მოვლა-პატრონობაზე, ვისაც ეახლოება მშრომელთა ხელისუფლების კეთილდღეობა. მჭიდრო კავშირი გაზეთთან მომჭირნეობისათვის ბრძოლაში—აი რა უნდა ახსოვდეს მუშასა და გლეხს, და თვითეულ კეთილსინდისიერ საბჭოთა მოქალაქეს.

„დაუზოგველობის დაუზოგავი მხილება“, და ძიღწეკათა ფართოდ გაშუქება—აი ჩვენი გზა.

გვიხსენით უთავგოლოდ ანგარიშებისაგან

ვინც დაკვირვებია ჩვენი დაწესებულებების მუშაობას, მას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რომ ძალიან ბევრი დრო და ფული იხარჯება ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების, ანკეტების და მოხსენებების დამზადებაზე.

არსებობს მთელი რიგი სამეურნეო დაწესებულებებისა, რომლებიც მთელი თვეობით ირავითარ სამეურნეო ოპერაციებს არ აწარმოებენ და ამავე დროს მათ სჭირდებათ საკმაო დიდი შტატების შენახვა, რომელიც ვერც ერთ ასლის მუშაობას და ხშირად ზედმეტ საათებსაც კი მიმართავენ: ამზადებენ ცნობებს, მოხსენებებს, გამოკვლევებს.

ავინ არ უარყოფს გამოკვლევათა საჭიროებას, მაგრამ **მათი რაოდენობა და ხასიათიც გამორკვეულ უნდა იქნეს,** თორემ ხშირი გამოკვლევები დიდათ უშლის ხელს დაწესებულებათა ნორმალურ საქმიანობას; შტატი იმ დაწესებულების, რომლის გამოკვლევაც სწარმოებს, უნდება ცნობების და ახსნა-განმარტებების მიწოდებას.

ჩვენ ყოველგვარ ხარჯების აღრიცხვას ვაწარმოებთ, და იმის აღრიცხვაც რომ შეესძლოთ, თუ რამდენი დრო და საშუალებები იხარჯება გამოკვლევებზე, სტატისტიკური მასალების მოხსენებების დამზადებაზე და საუწყებათაშორისო მიწერ-მოწერაზე, განცვიფრებაში მოვიდოდით.

ერთ-ერთ დიდ სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელმა ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა: თუ თქვენ იტყვით, რომ ჩვენს დაწესებულებაში საჭიროა შტატის შემცირება, მეც დაგეთანხმებით, მხოლოდ ამასთანავე ერთად უნდა შემცირდეს მოთხოვნილებები ცნობების წარდგენის შესახებ.

ეს განცხადება სამართლიანია, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, და უეჭველია ასეთ მდგომარეობას სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც ეგრძნობენ. სხვათა შორის ამ მდგომარეობი აიხსნება დაწესებულებათა შტატის შედარებითი სიდიდე და თუმცა მრავალჯერ მოხდა შემოკლება, მაგრამ შემოკლების შემდეგ ჩვეულებრივ ისევ იწყება შტატის გაზრდა და ასე დაუსრულებლივ.

ეს მდგომარეობა მუდამ ასე იქნება, მუდამ ერთ წერტილზე ვიქნებით გაყინული მართვა-გამგეობა ისევ ძვირი დაგვიჯდება, თუ არ შევამჩნიეთ საუწყებათაშორისო მიმოწერა, თუ მიხანშეწონილად და უფრო შეთანხმებულათ არ ვაწარმოეთ ყოველგვარი გამოკვლევები და სტატისტიკური მასალების დაგროვება.

ი. ბ.

ყურადღება წვრილმანებს

მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად ენერგიული ნაბიჯის გადადგმაა საჭირო. იმის თვალყურის დევნა კი თუ სად რა კეთდება **ყველა** ჩვენთაგანის მოვალეობას შეადგენს.

ამას წინად რკ. გზების გამგეობის დარბაზს შემთხვევით ცეცხლი გაუჩნდა. შემდეგ შეუდგენ დაზარალებულის შეკეთებას. შეკეთების დროს ფანჯრებიდან დაცვა ავეჯეულობა ზიგი იყო და ფუჭდებოდა მტვერი.

რკინის-გზის აგენტები, რომელნიც ყოველგვარ მასალებსა ყიდულობენ რკინის-გზების საჭიროებისათვის და ცოტაოდენ საქონლის შეძენის დროს გამოსატანად ეტლს ქირაობენ (სხვა ნაირად ფეხის გადადგმასაც არ ჰკადრულობენ) თავს იმართლებენ იმით, ვითომ მუშაც იმდენს წაიღებს გადმოტანაზეო. ხოლო ყოველგვარი მასალის გადატან-გადმოტანის ქირა იწერება მასალის ზედნართი ხარჯის ანგარიშზე.

გარდა ამისა, ირაა შემოღებული წვრილმანი საგნების (როგორიცაა სამელნე, პრესი, საწერკალამი, სახაზავები და სხვა) ინვენტარული აღწერა, არავინ უფრთხილდება ამ საგნებს. დაიკარგება. ადვილია მათი გამოწერა და მიღება. მაგრამ დიდი თანხა რომ წვრილმანისაგან შესდგება, ეს ყველას ავიწყდება.

აი ყოველივე ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმის დასამყარებლად.

მუშკორი **ნიკოლოზ ტაბაკინელი.**

მომჭირნეობის გამტარებელ ცენტრალურ კომისიაში

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ეკონომიის რეჟიმის გამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ამბ. **ჯანაშიამ** განაცხადა:

ტრესტებიდან, კომისიის მოთხოვნილების თანახმად, მოდის ცნობები და მასალები ზედნადები ხარჯების გადასინჯვის შესახებ მათი მაქსიმალური შემცირების მიზნით.

კომისია დაწერილებით იხილავს და ამოწმებს ტრესტებისაგან მიღებულ მასალებს, განსაკუთრებით ყველა იმ მასალებს, რომლებიც ეხებიან ზედნადებ ხარჯების საკითხს იმ მიზნით, რომ გარკვეულ იქნეს მიზანშეუწონელი ხარჯების შემცირების და მოსპობის შესაძლებლობა.

სახ. მეურნეობის სარევიზიო განყოფილებას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს გამოთხოვილ მასალების შედგენას ტრესტების მიერ და დაუგვიანებლათ მოწოდებას.

მახლობელ დღეებში ცენტრალური კომისიის წევრები ტრესტების სამმართველოებში მოიწვევენ განსაკუთრებულ თათბირებს, რომელზედაც განხილული იქნება ყველა ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები, რის შემდეგ დასახული ღონისძიებები დაუყოვნებლივ გატარდება ცხოვრებაში. თათბირების მთავარი ყურადღება მიქცეული იქნება ზედნადებ ხარჯების ზედნადებ ხარჯების საკითხებზე. ამ მუშაობის შესრულების შემდეგ ცენტრალური კომისია შეუდგება მასალების შესწავლას ყველა ხარჯების შემდგომი გეგმიანი შემცირებისათვის.

ბირჟის როლი მომჭირნეობისათვის ბრძოლაში

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე ბირჟის როლის შესახებ მომჭირნეობის საქმეში საბირჟო კომიტეტში განაცხადეს შემდეგი:

ბირჟის როლი ამ საქმეში უმთავრესად გამოიხატება **ზედნადებ** ხარჯების შემცირებაში, რასაც თან მოჰყვება საქონლის ფასის დაწევა. ამ საქმის განხორციელება შეიძლება ორი გზით: 1. საბირჟო და ბირჟის გარეშე გარიგებებზე სარეგისტრაციო ანარიცხების შემცირებით და 2. სავაჭრო ორგანოებზე საქონლის გაიაფების მხრივ ზეგავლენის მოდებინით.

ამ მხრივ ბირჟამ უკვე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი. მაგ.: თბილისს ბირჟამ ანარიცხები 0,125 პროცენტიდან—0,1 პროცენტამდე და 0,25 პროცენტიდან—0,15-მდე. მომავალში ეს ანარიცხები კიდევ უფრო შემცირდება.

სავაჭრო ორგანოებზე ბირჟის გავლენის გასაგრძელებლად უნდა გამოვიდეს საბირჟო დაწესებულებანი: სავაჭრო სექცია, სამკალერო და სარეგისტრაციო ბიუროები. მათ ხელი უნდა შეუწყონ გასასყიდ საქონელზე ფასების დაკლებას.

განსაკუთრებით თვალსაჩინო როლის შესრულება ბირჟებს შეუძლიათ სავაჭრო ოპერაციების საქმეში.

რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედნართი ხარჯები და ფასების გადიდება საქონელზე სავაჭრო ორგანიზაციები უნდა ერიდონ ბირჟის გარეშე გარიგებების მოხდენას და უნდა აწარმოონ ისინი ბირჟათა საშუალებით.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენელი ფასების დაკლეს კომისიაში

ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლათ ა.-კ. შინა.-ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ ფასების დაკლეს კომისიაში დანიშნულია ამხ. შაფაცელი. ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფკავშირთა საბჭოებს გაგზავნონ წარმომადგენლები რესპუბლიკანურ კომისიებში და მიიღონ მონაწილეობა მუშაობაში ფასების დასაკლებათ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲜᲐᲚᲝ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲓᲔᲑᲐ.

მიმდინარე სანაგარიშო წელს ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნება 500.000 მან. სამკურნალო ბეეღარეულობა. ნაწილი ამ მცენარეულობის დამზადებული იქნება ადგილობრივ, ნაწილი კი გატანილი იქნება საზღვარგარეთ. ამიერ-კავკ. სახ. კომერციის კომისარიატი მცენარეულობის დამზადებას აწარმოებს ძირითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და აგრეთვე კერძო პირების საშუალებით. განზრახულია მომავალ წლიდან სამკურნალო მცენარეულობის დამზადების საქმე დაყენებული იქნას ფართო ნიადაგზე. ამ მიზნით უკვე მიღებულია ზომები.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ.

ვასილ წულთან შედარებით, მიმდინარე წელს ნამყენი ვაზების დამზადება სწარმოებს გაცხოველებით.

წელს კახეთში მოწყობილი იქნა რამდენიმე სთბური, სადაც ხელოვნურად ახარებენ სანამყენე ლერწებს. ამჟამად სწარმოებს შუშაობა ახალი სანერგეს მოსაწყობათ და ნამყენი ვაზების ადგილობრივ გაამრავლებლათ, ასე რომ 2—3 წლის შემდეგ შესაძლებელი იქნება მეეენახეთა დაკმაყოფილება ჩვენი დამზადებული ნამყენებით.

ამჟამად მთელ საქართველოში არის 6 სათბური. განზრახულია კიდევ იმერეთში რამდენიმე სობტური მოწყობა. ვაზების სანერგებისთვის გამოყოფილი 120—130 დესეტინა მოწა. წელს მეეენახეთა მოთხოვნილება ნამყენ ვეენახებზე დიდი. წარმოკავშირმა დაამზადა 800.000 ცალი ნამყენი ვაზი. ეს ვაზები განაწილებული იქნება გლეხ-მეეენახეთა შორის სპეციალურ აგრონომ-ინსტრუქტორის საშუალებით.

ᲜᲘᲓᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა იტალიაში გაგზავნა ნიდგზის 150 ცალი მორი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲒᲝᲜ.

— **დარაბების ახალი დანამრგვა.** თბ. აღმასკომის ორგბიუროო შეუდგა დარაბების ახალი გეგმით დანომვრის. დარაბები დანომრილი იქნება ცალკე სამლიერეო რაიონები ფარგლების მიხედვით.

— **კომუნარების ბალი.** კომუნარების ბალის კეთილმოსწყობათ დაწესებული მუშაობა დამთავრდება ახლო ხანში. ბალში ზაფხულის განმავლობაში საღამობით დაუკრავ სამხედრო მუსიკა.

— **ᲩᲣᲠᲩᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა შეაკეთოს ყველა დზიანებული ქუჩა და ქვაფენილები და გაუშვას ქუჩების. ზედაპირზე (ნარეალებში) წყალი ქალაქში სისუფთავის დასაცავათ.

— **ᲐᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ.** თბ. აღმასკომმა გადასცა 4000 მან. ფუნტკელეორნრე წყალსადენის აუნის შესაკეთებლად.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ.

ფოთის ნავთსადგურში მოვიდა გემი „ᲠᲘᲚᲔᲘᲜᲘ“, რომელმაც მოიტანა ერთი ორონდა შაკარი, ერთი ორონდა მინა და ორი ორონდა ცემენტი.

ᲡᲐᲛᲐᲕᲐᲠᲗᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

1924 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე სოკოერაციო წლის თებერვალამდე თბ. კულტსალერ ბანკის მიერ საქართველოში შემოტანილი იქნა 3 მილიონი მანეთის ფართლეული.

ამ რაოდენობიდან სახელმწიფო დაწესებულებებს მიეცა 55 პროც.. 38 პროც. კოოპერატიულ ორგანიზაციებს და 6 პროც.-ში კერძო პირებს.

სსენებულმა ბანკმა აგრეთვე დაარსების დღიდან შეიძინა და გაანაწილა სხვადასხვა კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს 12 მილიონ მანეთის საღმშენებლო მასალები. მიმდინარე წელს ბანკმა შეიძინა სახურავი რკინეულის დიდი რაოდენობა—ნიჩბები, ჭურჭეულები, ლურსმნები და სატყეო იარაღები. ყველა ეს მასალები ბუნებრივად ბანკი ხაზავს კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ბანკი აქვამდე აწარმოებს ფარ-ლეულობის შეძენის საქმეს.

ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲜᲐᲚᲝ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲜᲐᲚᲝ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ	ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ	ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ
ᲐᲛᲑ. ᲨᲐᲤᲐᲪᲔᲚᲘ.	ᲐᲛᲑ. ᲨᲐᲤᲐᲪᲔᲚᲘ.	ᲐᲛᲑ. ᲨᲐᲤᲐᲪᲔᲚᲘ.
ᲐᲛᲑ. ᲒᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜᲘ.	ᲐᲛᲑ. ᲒᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜᲘ.	ᲐᲛᲑ. ᲒᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜ

მტკვარი და ზაჰესი

დავბრუნდი ზაჰესიდან.

პირველი სურათი ზაჰესის მშენებლობის შედეგებსა უკვე თვალწინ იყო გადაშლილი ამ ოთხი დღის წინედ.

როცა მტკვარს დაავუბებენ ტურბინებში გადასაშვებათ, იგივე სურათი იქნება სწორედ.

დგებებული წყალი უშველებელ ტბას წარმოადგენს სათავეებიდან დაწყებული — ერთის მხრივ მაღალის ხიდამდის და მეორე მხრივ, არაგვის ვაყოლებით — ბებრის ციხემდის.

აქ დატრიალდა მორევი შვიდი-რვა ადგილს სიღრმისა.

ტმკვარისა და არაგვის გიგური შეერთებაც ჩამდგრალა ამ დაუზოგავ მორევში.

აქ წყალს თითქმის აღარ ეტყობა დენა. მხოლოდ ის სწორად გარინდულ ზედა პირზე წყნარი ნიავი ჰქარავს მოუხვენარ და უცნაურ სურათებს.

ეს გულამღვრეული მორევი ყრუთ და შეუპოვრათ დაეძებს თავის გასავალს.

ავერ თითქმის კიდეე არის ასეთი გასავალი:

ეს ორთვალა დროებითი კალაპოტია.

მტკვარს არა სჯერა ამ გასავალის შესაძლებლობა, მაგრამ ძალა მაინც იზიდავს იქით და სიფრთხილით მიიზლაზნება.

შეგიდა ამ ორთვალა ჯურღმულში და...

ეხლა გადავხედოთ მეორე მხარეს:

თითქმის მტკვარმა გამოსელის წამშივე იგრძნო მთელი გასაცდელი ადამიანისაგან დგებული მახისა. საშინელი ალიკოთოთ, შოოოვით და ღრიანცელით ეკვეთება ცემენტის კედლებს. გადარეული ტალღები ეროვნანთში ინთქვნინ, ნადგურდებიან დაუნდობრათ.

ახე გიგურათ აქოჩრილი მტკვარი გავარდნილი ვეშპანვით მიღრიანცელობს ქვევით. საკაწში შობილი ტალღები საგანგებო შეშფოთებულ ზოლათ მისდევენ კარგა ქვევით და იქ თანდათანი გადაზრარნთ იკარგებიან ნაერთ ნეენაში.

საათვის სიმაღლეთან მთელი საათი, არა მთელი დღე, შეიძლება უცქერო ამ ბენგრივ ძალის დაუცხრომელ აფეთქებას.

თვით ის პატარა ადამიანები, რომელთაც მტკვარი ჩაგდეს ასეთ დღეში, ალტაცებით უცქერიან ამ დიდებულ სურათს და ვერ იკლავენ ენს.

ეკვეტერი დიდსანს ამ ავარდნილ სტიქიებს და გულში მთელი ბუმბერაზობით ეუბნებიან ორი ენბა:

ალამაზე და სიძლიერე.

არა ნაკლებ მომხიბლავია იგივე ადგილი ღამის სიბნელეში:

ნაპირზე ჩამწკრივებული ელექტრო-ლამპები სინათლის ჯადოსნურ სვეტებათ ჩაწოლილან ტბის სიღრმეში და მაყურებლის ფიქრებს გადაეანნებენ სადღაც ზღაპრულობაში.

იქ, ცემენტის კედლებში გადარეული მტკვარი კი თავგამეტებული ღრიანცელით აშფოთებს მთელ არე-მარეს და თქვენც თუ შემოხვევით მოგზაურობთ იმის ნაპირზე.

მოკეთი.

გლეხკომეგის მუშაობა

— **სვირის** თემის გლეხკომს განწრახული აქვს შეიძინოს, კოოპერატივის საშუალებით გლეხებისათვის 500 ფ. შაბიამანი და 200 ფ. ბოლოი.

— **წალვეთის** თემის გლეხკომი შეუდგა ორ ჯოოპერატივის შენობის აგებ-

— **ლაკის** თემის გლეხკომმა უკვე დაიწყო ტყეებისათვის წისქვილის აგება.

— **ბუბის** გლეხკომმა აიშენა „აბრეშუმის საზოგადოებ"-ს პარკის სახლობა.

— **მარტყოფის** თემის გლეხკომმა თავისი საშუალებით გამოიყვანა წყარო, რომელზედაც მუშობდა 200 გლეხი.

— **მაღლაკის** თემის გლეხკომმა გამოიტანა ქუთაისის სამმხანაგო-საკრედიტო საზოგადოებიდან ბამბის სათესლე, დაურიგა თავის წევრებს დასათესად და თვითეულს დასაშუშავებლად მისცა ავანსი 40—40 მანეთი დესეტინაზე. განზრახულია 100 დესიატინა მიწაზე მატის დათესვა.

სასამართლო

მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამბ. ᲞᲐᲞᲐᲖᲐᲕᲐ თავმჯდომარეობით **გაიარა** მისი საქმე.

სასამართლოში ახუროვი თავს იმართლებდა; ეს **პატარა „შესწორება"** შეეფინა იმიტომ, **რომ ოჯახურმა** მდგომარეობამ მიიძულაო.

სასამართლომ ახუროვი სცნო დამნაშავეთ და მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲚᲔᲚᲘ

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს ამბ. ᲑᲣᲠᲯᲐᲫᲘᲡ თავმჯდომარეობით **დაიწყო ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔᲒ ᲫᲔᲒᲘᲐᲜᲘᲡᲗᲘᲡ** საქმის **გარჩევა.**

ძეგნიაურის ქალს ბარბარეს ეფლა თავისი შეილის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: ქვრივ ბარბარე ძეგნიაურს რაღაც არაჩვეულებრივად „წამოეზარდა მუცელი, მეზობლებმა ეუბნეს შეილესეს, რომ ის ორსულათ იყო, ხოლო ეგნაიდან ძეგნიაურის ქალი ამას გადაჭრით უარყოფდა—ეუბნის დასადასტურებლათ წაიყვანეს ექიმთან. გზაზე ძეგნიაურის ქალი გამოტყდა, რომ მას შეილი უკვე ეყოლა და დამარხა ტყეში.

სასამართლოს წინაშე ბარბარე ძეგნიაურმა ასე ახუხდა, **რომ „ბავშეი მკედარი დაიბადა"-ო.**

ექსპერტიზამ და **სასამართლოს** კვლევა-ძიებამ კი **გამოარკვია, რომ** ბავშეი **დაბადებული** იყო **სავსებით** საღი.

ბრალს სდებს პროკურორი ქაჯთარაძე, **ბრალდებულს** იცავს **დამცველთა** კოლეგიის **წევრი** რამაზიშვილი.

სასამართლოს კვლევა-ძიება **დასრულდა** და **განაჩენი** გამოტანილი **იქნება** დღეს.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲤᲔᲮᲑᲐᲠᲗᲘᲡ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ"—"წ. Ა. Ფ. Ს."

კვირას, 9 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დინამო"-ს და „წ. ა. ფ. ს." (წითელ არმიის და ფლოტის სახლის გუნდი) შეჯიბრი. ეს გუნდები წელს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და ბრძოლა მათ შორის მეტად სერიოზული და მწეავე გამოდგა.

პირველი ხეტეთმი ჩატარდა „დინამო"-ს აწყარა უპორტესების ნიშნის ქვეშ. თოქმის მთელი განყოფილების განმავლობაში ბურთი სელ „წ. ა. ფ. ს."-ის ჯიჯართან ტრიალეზდა: ამ უკანასკნელის მოთამაშეებმა რამოდენიმეჯერ შესძლეს მოწინააღმდეგის ფორნტის გარღვეეა, მაგრამ უმდიდეოთ.

თამამშის მე-30 წუთზე დინამოელი ანაკინი ახერხებს პირველი ბურთის გატარებას მოპირდაპირის ბადეში და პირველი განყოფილება ამ შედეგით თავდება.

მეორე ხეტეთმეში სურათი ერთბაშათ იცვლება. „წ. ა. ფ. ს"-ი, რომელიც სუსტად თამაშობდა, 12 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ფინალი ფლოტის სახლის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდების შეჯიბრი. მატჩი ამ გუნდებს შორის პირველია ამ მიმდინარე სეზონში, ამიტომ თამაშათ შეჯიბრმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ „წ. ა. ფ. ს."-მა „პოლიტეხნიკუმთან" შეჯიბრში ეერ გამოიჩინა ის სიმტკიცე და გამბედაობა, რომელიც მას ახასიათებდა „დინამოსთან" თამაშში, ამიტომ თითქმის ორიე ხეტეთმეში უპირატესობა პოლიტეხნიკუმის ფეხბურთელთა მხარეზე იყო, თუმცა ეს უკანასკნელები არაა სრული შემადგენლობით თამაშობდნ.

პირველი განყოფილების შუა ნაწილში პოლიტეხნიკური ბურთის გუნდის ცენტრ-ფორვარი **სტრელკოვი** ახერხებს პირველი ლამაზი ბურთის გატარებას მოწინააღმდეგის ბადეში, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ „წ. ა. ფ. ს."-ის გაბეჯდულმა მეტეევამ ეს ანგარიში გააქნეთა. ხეტეთმის ბოლოს სტრელკოვმა კიდეე ერთი ბურთი გაატარა „პენალტიდან" „წ. ა. ფ. ს" კარეზეში და თამაშის პირველი განყოფილება გათავდა 2:1.

მეორე ხეტეთმეში შეტევას იწყებს „წ. ა. ფ. ს." მე-15 წუთზე **პეროპეტალოვის** მიერ „პენალტიდან" მაგრამ დარტყმული ბურთი გაიარა პოლიტეხნიკუმის ჯიჯარში და, ამრიგად, ანგარიში ქვეთდება.

შემდეგ ბრძოლა უფრო მწეავდება. ხშირია სახიფათო მომენტები როგორც ერთ მხარის, ისე მეორეს კარებთან. ხეტეთმის ბოლოს ბრძოლა ინიციატივა მთლიანად პოლიტეხნიკუმის ხელში გადადის, რასაც შედეგად მოყეა კიდეე ერთი მეტად ლამაზი ბურთის გატარება „წ. ა. ფ. ს." კარეზეში და შეჯიბრი თავდება 3:2 „პოლიტეხნიკუმის" სასარგებლოდ.

ამრიგად, „წ. ა. ფ. ს." სამი შეჯიბრიდან (ორი დამარცხება და ერთი ფრედ) აქეს მხოლოდ 4 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არა თუ დაკარგა პირველი ადგილი, არამედ მეორე ადგილის მიღების შანსებიც კი გამოეცალა ხელიდან.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲒᲔᲥᲢᲘ

მზის ენერგიის გამოყენების მეტად საინტერესო პროექტი შემოქმედა ერთმა ფრანგმა ინჟინერმა ჟალეტინინ ელექტროფიკაციის მიზნით.

მზის სხივების უშუალოდ გამოყენების ცდებს ყოველთვის წინ ელობდნდა ის გარემობა, რომ შეუძლებელი იყო ისეთი აპარატის იაფად დამზადება, რომელიც შეარბედა მზის სხივებს. რადგან ისეთი აპარატი ფართო მოედანის მქონე უნდა ყოფილიყო.

ფრან ინეენერის პროექტით, მზის სხივების შემკრების როლი უნდა შეასრულოს მკვლარმა ზღვამ (პარელანი ტბა ალეჟანინ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ეკიროვ 926 კვ. კილომეტრი, განი—3¼—17 კილომეტრი, ფლიდესი სიღრმე—793 მეტრი).

როგორ უნდა მოხერხდეს ეს?

ბეღნბრივი პირობები ამ შემთხეევაში ძლიერ ადვილებენ ინეენერის ამოცანას, რადგან მკვდარ ზღეას, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ძლიერ ათბობენ მზის სხივები და გარდა ამისა იგი ხმელთაშუა ზღვის დონესთან შედარებით 460 მეტრით დაბლა მდებარეობს.

ამიტომ განხორციელია გაკეთება არხის, რომელითაც წყალი ხმელთაშუა ზღვიდან მკვდარ ზღვაში გადმოდინდება. წყალის ვარდნის ასეთი დიდი სიმაღლიდან ენერგიის მეტად დიდი რაოდენობის მოცემა შეეძლია. ელექტრო-დენით გადაკეთეული ეს ენერგია, საკმაო იქნება მთელი ამხარეს ათეული რამდენი წყალის გამოყენება შეეძლოთ ხმელთაშუა ზღვიდან?

რასაკვირეელია, იმდენის, რამდენსაც აორთქლებენ მზის სხივები მკვდარი ზღვიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხეევაში იგი წყალით აივსებოდა და ნაპირებიდან გადმოვდოდა.

მზის სხივების მიერ მკვდარ ზღვაში აორთქლებული წყალის რაოდენობა სახლდარს უდებს სადგურების სიმძლეარეს, გამოარკვიეს, რომ ყოველ წამში მეკვირეს ზღვის ზედაპირიდან ორთქლდება 103 კუბ. მეტრი წყალი. წყლის ასეთი რაოდენობის გადმოსხმა შეიძლება ყოველ წამს ხმელთაშუა ზღვიდან ისე, რომ მკვდარი ზღვის დონეს არ იმატოს.

გეგმა არხის, რომლითაც ხმელთა შუა-ზღვიდან მკვდარ ზღვაში უნდა იქნეს გამოყვანილი წყალი.

მეტად საინტერესოა ის გარემობა, რომ ხმელთაშუა ზღვიდან წყალი 80 მეტრის სიმაღლეზე წყალი საჭაჭვებით უნდა იქნეს ამოტანილი, შემდეგ კი თავისით წავა მოედნში და გაიკელის ორი ბიდრო-სადგურის ტურბინებს. ორიე სადგურის სიმძლეარე 617.000 ცხ. ძალას უნდა უდრიდეს.

აქედან 190.000 ცხ. ძალა დაიხარჯება წყალის ამოქაჩვაზე ხმელთაშუა ზღვიდან, 427.000 ცხ. ძალა კი გამოყენებული იქნება ელექტროფიკაციისათვის.

ᲞᲔᲥᲔᲚᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ

უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში შემჩნეულია პეპელათა დიდი გადაფრენა, რომელსაც აქეს მიმართულება აღებული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ჩვენი თანამშრომელის შეკითხვაზე ამის შესახებ საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებაში განაცხადეს შემდეგი:

პეპელების გადაფრენის საკითხი საზოგადოდ და განსაკუთრებით მათი მოძრაობის შესახებ (ცუდათია შესწავლილი. გადაფრენის მიზეზები სხვადასხვა მოვლენებია, როგორც მაგალითად, თბილი გაზაფხული, ცივი ზამთარი და სხვა. შედარებით ეს საკითხი უკეთია შესწავლილი ევროპაში, ჩვენში კი ამ მხრივ ძალიან მოვიკოჭლებთ. ამჟამად საქართველოზე მოფრინავენ განსაკუთრებული ჯიშის პეპელები, რომელნიც არ არიან მაენებელნი მოსავლისათვის.

ეს პეპელები შედარებით სხვა მწერებთან ძალიან დიდხანს ცხოვრობენ. ასეთივე მოვლენას, როგორც ეელ, ადგილი ჰქონდა საქართველოში 1910 წელს, მაშინ მოფრინდენ მეორე ჯიშის პეპელები, რომლებიც ძლიერ აზიანებდენ კომბოსტოს მოსავალს. საზოგადოდ გადაფრენათა პერიოდების გამოკვლევა ძალიან ძნელია, საკითხის შეუსწავლელობის გამო. საჭიროა, რომ მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებას აწვდიდენ ცნობებს ადგილებიდან ასეთი მოვლენების შესახებ. ამ მოვლენების სიწორით შესწავლა შეიძლება მხოლოდ კოლექტიური ძალით და სურეველია, რომ აქ მუზეუმს დაეხმარონ პროვინციაში ბლომად გაფანტული დაინტერესებული ძალები. მსურველებს ზოოლოგიური განყოფილება მიაწოდებს საჭირო რჩევა-დარიგებებს თუ როგორ უნდა შეგროვდეს პეპელების კოლექცია.

ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობა, რომ თითქოს პეპელების ასეთი გადაფრენა რაიმე საერთო უბედურების დასაწყისს ნიშნავს (ომი, სიმშილობა და სხვ.), რასაკვირველია, შემცდარი აზრია და საჭიროა გლეხების განუმარტონ სოფლის კულტურულმა ძალებმა ამ ცრუმორწმუნეობის შესახებ.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲑᲘᲜᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ემსახურობ მე-2-რე საბჭოთა აფთიაქში მუშად ჯამაგირის ვღებულობ ორმოც მანეთს თვიურად. ეცხოვრობ მე-5-თე უბანში სეიდაბადის ქუჩა სახლ № 21-ში. იძულებული ვიყავ უბინაობის გამო შინაურ ხელწერილ ქვეშ დამქირავებინა ბინა. ჩემთან ერთად ცხოვრობს ჩემი ბიძაშვილი. მსახურობს საფოსტო-ა სამმართველოში ჯამაგირის იღებს 28 მან. და 80 კაპ. ორიეს ხარჯზე ინახეს 4 სული; ეართ კაეშრის წევრები და დაზღეეული.

გთხოვთ ახსნა განმარტებას თუ რამდენი უნდა ვადავიხადო თვეში ბინის ქირა.

მე-2-რე აფთიაქის მუშა ა. **გაფიშვილი.**

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ბინის ქირად თითოეულ კვადრატულ არშინზე თქვენი ხელფასის მიხედვით იხდით სამ კაპეიკს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

მე ეცხოვრობ ყოფ. ალექსეევის ქუჩა სახლი № 8-ში. მიქირავს ერთი ოთახი სიერცით 40 კ. არშ. არა მაქეს არც სამზარეულო და არც „სარაია" შეშის შესანახად.ქეედან იატაკი სრულებით უფარგისია. ზემოაღნიშნულ ოთახში სიტყეიერ ეზოთანმეშმბინი ვიხდი 7 მ. სახლის პატრონი შემპირდა როგორც სარაიის ასე ქუჩნის მოცეემასაც. მაგრამ ეხლა ეარეთ ბეზეზენება. ამისათვის გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად თვეში და ამასთანავე მაკეს თუ არა უფლება გაეკეეთო სახლს რემონტი და სახლის მეპატრონეს ბინის ქირად. ჯამაგირს ეღებულობ 14 ჯგუფ. ეარ კაეშარის წევრი.

კაეშარის წევრ. № 9143.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

თუ სახლის პატრონთან შეთანხმებით ბინის ყოველგვარი რემონტი უნდა ვაეკეთებია სახლის პატრონს და მან ეს პირობა დაარღეია, მაშინ არც თქეენთვისაა სავალდებულო ყოველგვარ ზეიდი მთლითის გადახდა ბინის ქირად. კაპიტალური რემონტი (ტერიატკის, კეედლების, სახურავის შეკეთება) უნდა მოახდინოს სახლის პატრონმა თავის ხარჯზე. **(იხ. ᲔᲚᲘᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ № 88),** თუ კი თქეენ გაიიეკნთ ამის ხარჯეებს, თქეენ გაქეთ უფლება ეს ხარჯები ინიაზღაუროთ ბინის ქირადან.

ბინის ქირაც თვეიურად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით სამ კაპეიკს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

მე მიქირაეს ორი ოთახი ზომით 90 კვ. არშინი, სასამართლოს ქ. № 44-ში, ვიღებ ჯამაგირს 70 მან. ვარ განაღლების მუმაკთა კაეშრის წევრი.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა.

Ვ. Ა.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ბინის ქირად თვეიურად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით რვა კაპეიკს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქეემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს: გიორგი ლუკას ძე ჩხენკელს, სერგო დავითის ძე ხვედელიძეს და ვლადიმერ დოლიძეს 14, 15 და 17 მაისს გამოცხადდენ ცენტრალურ საკანტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., № 24, მესამე სართული, ოთახი № 10).

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲜ ᲬᲘᲜᲐᲐᲓᲛᲔᲒᲘ?

ქარიულ სახედრო პოლიტკოლის კომეუჯრედში შემოტანილი აქეთ განცხადება შემდეგ ამხანაგებს: ურუშაძე მაქსიმე სილიბისტრო ძე, კობახიძე გრიგორი ნესტორის ძე, მაღალაშვილი იოსებ აბრამის ძე, ოსიპაპიშვილი აბესალომ ალექსის ძე. პუდოვი ნიკოლოზ იაკობის ძე, კაკუშაძე ირაკლი მაქსიმეს ძე და ესეტია სპირიდონ ალექსის ძე, რომლებიც თხოეოლნენ გადარიცხვას კანდიდატობიდან კომპარტიის წევრებად. თუ ვინმეს აქეს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲘᲡᲔᲑᲜᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 39.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ᲛᲘᲠᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა

ᲡᲘᲡᲢᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ 81, 82, 82—2, 82—3 ᲓᲐ 82—4 ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 82—6 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ

1926 წლის მარტის 10 თარიღითა და 77 №-ით დადგენილებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოციალისტიური საბჭოთა სოციალისტიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის ადგენენ:

სისტლის სამართლის კოდექსის 81, 82, 82—2, 82—3 და 82—4 მუხლ. შეცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 81. იმ პირთა აღნუსხვისათვის დადგენილი წესების დარღვევა, რომელნიც ვალდებულნი არიან იმსახურონ სამხედრო სამსახურში ან ზურგის ლაშქარში, გამოიწვევს

—იძულებითი მუშობას ორ თვემდე, ან ჯარიმას ეს მანეთამდე.

მუხ. 82. თაეის არიდება: სასაწვალო, განმეორებითი, პერიოდული სასწვალო და შეაბმოწმებელი შეკრებისაგან, ეარეთვე ისეთ შეკრებისაგან, რაც დაწესებულია ჯარში და ზეევამდე მომზადებისათვის, გამოიწვევს

იძულებითი მუშობას სამ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე.

მუხ. 82—2. თაეის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეეისაგან, ეარეთვე ზურგის ლაშქარში ჩარიცხეისაგან გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე, ქონეების ნაწილის კონფისკაციის ან უფასოდ; ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ, მსჯავრდადებული გაგზავნეება სამხედრო ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელათ დაწესებული ვადის განმავლობაში ან ზურგის ლაშქარში—კუთვნილებისამებრ.

ხოლო, უკეეთუ დანაშაული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელ გარემობანი—ჯარიმას იხდის სამის მანეთამდე; ხოლო მსჯავრდადებული გაგზავნეება ჯარის ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში ან ზურგის ლაშქარში—კუთვნილებისამებრ.

ხოლო, ე�ეთუ ბრალდებული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელ გარემობანი—ჯარიმას იხდის სამის მანეთამდე; ხოლო მსჯავრდადებული გაგზავნეება ჯარის ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში ან ზურგის ლაშქარში—კუთვნილებისამებრ.

ხოლო, ეcuეთუ ბრალდებული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელი გარემობანი—ჯარიმას იხდის სამის მანეთამდე; ხოლო მსჯავრ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲙᲐᲛᲝᲩᲘᲚᲘ ᲠᲣᲩᲐ. 68